საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/2316
28/02/2022

2316-15-15-2-202202281758

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არასამთავრობო ორგანიზაცია „[redacted]" განცხადება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ მოქალაქე [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა დისციპლინური წარმოების ჩატარება.

ფაქტობრივი გარემოებები

2021 წლის 31 მაისს, [redacted] უფლებებისა და ინტერესების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაცია „[redacted]" განცხადებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 2020 წლის აგვისტოში პოლიციის თანამშრომლებმა მოქალაქე [redacted] საკარანტინე ზონიდან მოტყუებით გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც [redacted] არაერთხელ გახდა პოლიციის თანამშრომლებისა და დაწესებულების პერსონალის მხრიდან დაცინვისა და შეურაცხყოფის ობიექტი, მას იძულებით ჩამოართვეს ტელეფონი და შეუზღუდეს გარესამყაროსთან კომუნიკაცია. მის ნებისმიერ შეკითხვაზე პოლიციის

თანამშრომელთა რეაგირება მხოლოდ დაცინვით, დაშინებით და ღირსების შელახვით შემოიფარგლებოდა.

„[redacted]“ მითითებული გარემოებების შესახებ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. გენერალური ინსპექციის 2020 წლის 5 ოქტომბრის NMIA 6 20 02360413 წერილის თანახმად, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა და [redacted] მიმართვა, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში.[1]

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია [redacted] განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შესახებ.[2] გენერალური ინსპექციის წერილის თანახმად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა. ამასთან, განცხადება მოქალაქე [redacted] შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის, გადაიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში.[3]

სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტიდან.[4] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს განმარტებით, მოქალაქე [redacted] მიმართ, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში მიმდინარე საქმისწარმოება შეწყდა, რადგან მოკვლეული მასალებით არ იკვეთება [redacted] მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.[5]

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების სრული მასალები. ხოლო ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეექვსე განყოფილებიდან გამოითხოვა ამავე განყოფილების მიერ ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის მასალები.[6]

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეექვსე განყოფილების მიერ წარმოდგენილ მასალებში მოიპოვება მხოლოდ შემდეგი დოკუმენტაცია:

- უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ [redacted] რეაგირების ოქმები;
- ამავე პირის მიერ ეპიდემიოლოგთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი;

---

[1] [redacted] 2021 წლის 31 მაისის N5734/21 განცხადება.
[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 31 აგვისტოს N15-15/8465 წერილი.
[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 2 სექტემბრის NMIA 4 21 02320892 წერილები.
[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 16 ივნისის N15-15/5711 და 31 აგვისტოს N15-15/8464 წერილები.
[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს 2021 წლის 6 სექტემბრის NMIA 1 21 02351561 წერილი.
[6] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 30 ივნისის N15-15/6356 წერილი.

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში (112) დაფიქსირებული შეტყობინებები;
- პატრულ-ინსპექტორ [redacted] რეაგირების ოქმი;
- ამავე პატრულ-ინსპექტორთან გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მიერ სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

საგულისხმოა, რომ **გენერალური ინსპექციის მასალების თანახმად, პატრულ-ინსპექტორ [redacted] სატელეფონო გასაუბრების გარდა, სხვა მოქმედება არ ჩატარებულა.** გენერალური ინსპექციისა და ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეექვსე განყოფილების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია მოიცავს მხოლოდ [redacted] ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებულ მასალებს.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა ყველა პოლიციელს ავალდებულებს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.[7]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[8] საპოლიციო ღონისძიების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[9]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთი ამოცანაა.[10]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[11]

---

[7] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხ. 8, პუნქ. 1.
[8] იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქ. 1.
[9] იხ. იქვე, მუხ. 8, პუნქ. 2.
[10] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების" დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ".
[11] იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქ. 2.

გენერალური ინსპექციის კომპეტენცია მოიცავს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული ან განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.[12]

ამრიგად, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გენერალურ ინსპექციას ინფორმაციის მოპოვება მრავალი სხვადასხვა წყაროდან შეუძლია. მიუხედავად უფლებამოსილების ფართო სპექტრისა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაზრდილი მომართვიანობა და შემოწმების შედეგები ადასტურებს.[13]

სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.[14]

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილი და ცალმხრივია. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გენერალური ინსპექცია მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთან სატელეფონო გასაუბრებით შემოიფარგლა და გადაწყვეტილების მიღების დროს, მისგან მიღებულ ინფორმაციას უპირველესად დაეყრდნო.

---

[12] იხ. იქვე, მუხ. 3, ქვეპ. „ბ[2]".

[13] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspektsiebis-mushaobas-kvlav-araefektianad-miichnevs >

[14] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ", ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf > [23.02.2022].

ცხადია, მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება ობიექტური. რეაგირების გარეშე რჩება არაერთი საკითხი, რის შესახებაც გენერალური ინსპექციას ობიექტური ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროდან შეეძლო.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით განუხილველად დარჩა განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული საკითხები, არ არის მოპოვებული ერთი ნეიტრალური მტკიცებულებაც კი, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა [redacted] ინტერესების დამცველი ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულ გარემოებებს. სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ არ არის მომზადებული შესაბამისი დასკვნა.[15] უფრო მეტიც, გენერალურ ინსპექციას, არ ჰქონია ისეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი, როგორიცაა:

- სავარაუდო უფლებადარღვეული პირის - [redacted] გამოკითხვა;
- სასტუმრო „[redacted]“ პერსონალის გამოკითხვა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების იმ ეკიპაჟის წევრების გამოკითხვა, რომლებმაც გადაიყვანეს [redacted] ფსიქიატრიულ დაწესებულებაში;
- იმ ფსიქიატრიული დაწესებულების სამედიცინო პერსონალის გამოკითხვა, სადაც გადაიყვანეს მოქალაქე [redacted];
- არ არის მოპოვებული ინფორმაცია მოქალაქე [redacted] შემხებლობაში მყოფი პოლიციის თანამშრომელთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ;
- არ არის მოპოვებული ინფორმაცია საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ვიდეოკამერით აღჭურვის ან/და მათი გამოყენების შესახებ;
- არ არის მოპოვებული ინფორმაცია გარე ან შიდა მეთვალყურეობის ვიდეო კამერების ჩანაწერების არსებობის შესახებ, სადაც შესაძლოა ასახული ყოფილიყო [redacted] პოლიციის თანამშრომელთა კომუნიკაცია. არც მსგავსი ვიდეო კამერების არსებობის შესაძლებლობა გადამოწმებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, ყოველმხრივი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილია. გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის ქმედება წარმოადგენს

---

[15] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 9, პუნქ. 5.

შესაძლო დისციპლინურ გადაცდომას, რაც წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური წარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლ(ებ)ის მიმართ, რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქე [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი